სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

17 მარტი, 2026 წ.

ბრძანება № 01-02/56

2025-2026 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის **„ERASMUS + PEERS“** გაცვლითი პროგრამის ფარგლებში **პორტუგალიაში** საერთაშორისო **მობილობისათვის ბსუ-ს სტუდენტთა, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის გამოსავლენად კონკურსის გამოცხადების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „საერთაშორისო მობილობის ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 20 ოქტომბრის №06-01/131 დადგენილების, ბსუ-ს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსის 2026 წლის 17 მარტის MES 9 26 0000324935 სამსახურებრივი ბარათის, ,,ბსუ-ს რექტორის მოადგილეთა ფუნქციების განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 12 აგვისტოს №01-02/155 ბრძანებისა და ,,ბსუ-ს რექტორის ტიტე არუშიძის 2026 წლის ანაზღაურებადი შვებულების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 05 მარტის №01-06/56 ბრძანების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2025-2026 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში „ERASMUS + PEERS“ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში პორტუგალიის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (მინიოს, ევორას და ავეიროს უნივერსიტეტებში) საერთაშორისო მობილობაში მონაწილე **სტუდენტთა, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის გამოსავლენად გამოცხადდეს კონკურსი** და **განისაზღვროს შემდეგი ვადები:**

1.1. კონკურსში მონაწილეობის მსურველთა მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის **ელექტრონულად მიღება - 2026 წლის 10 აპრილამდე:**

ა) კონკურსანტ სტუდენტების მიერ - ელექტრონულად, შემდეგ ბმულზე - https://uminho.moveonfr.com/form/67d170d4f484e754ea054497/eng;

ბ) აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის მიერ - ელექტრონულად, შემდეგ ბმულზე - https://uminho.moveonfr.com/form/67d170d4f484e754ea054497/eng;

1.2. დოკუმენტაციის შემოწმების, შეფასებისა და სტიპენდიის მინიჭების საკითხთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას უზრუნველყოფს პროექტის ადმინისტრირების ჯგუფი.

1.3. ინგლისური ენის ტესტირებაში მონაწილეობის მსურველმა სტუდენტებმა უნდა წარმოადგინონ განცხადება ბსუ-ს რექტორის სახელზე, ბსუ-ს სტუდენტური პორტალის მეშვეობით, არაუგვიანეს - **2026 წლის 30 აპრილის 15:00 საათისა.**

1.4. ტესტირება/გამოცდა ინგლისურ ენაში (ინგლისური ენა B1/B2) - **2026 წლის 02 აპრილი, 11:00 საათი,** საგამოცდო ცენტრი, **№4 კორპუსი, მის: ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ. №12** (ინგლისური ენის (B1/B2 დონე) ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატის არსებობის შემთხვევაში, კონკურსანტი თავისუფლდება ტესტირებიდან);

2. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

3. წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის შესახებ განცხადების ტექსტი მომზადდეს ბსუ-ს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის მიერ და გაეგზავნოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს - ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსებისათვის, ხოლო სასწავლო პროცესის დეპარტამენტს - ბსუ-ს პორტალზე განთავსებისათვის.

4. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ№30).

ბსუ-ს რექტორის მოადგილე
სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით,
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი **გიორგი ქათამაძე**